სასწავლო კურსების ანოტაციები
ქართული ლიტერატურა MA

ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: ელგუჯა ხინთიბიძე სასწავლო კურსის მიზანია ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებს შეასწავლოს ვროპულ და საზოგადოდ მთელ საზღვარგარეთულ მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის პრობლემები; გამოუმუშაოს ჩვევა მათი კრიტიკული და შემოქმედებითი ინტერპრეტაციისა. სწავლის პროცესში უნდა გამოვლინდეს ის მიღწევები, რაც ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკაში შემოიტანა საზღვარგარეთულმა ქართველოლოგიამ.
შუასაუკუნეობრივი და რენესანსული «ვეფხისტყაოსანში» ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: ელგუჯა ხინთიბიძე კურსის მიზანია გვიანდელი შუასაუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ეთიკურ-ესთეტიკური აზროვნების პრობლემების გამოკვეთა და მოაზრება შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქების პრობლემატიკის ფონზე; უახლესი რუსთველოლოგიური კონცეფციის დეტალური დამუშავება; ფილოლოგიური არგუმენტირების უნარ-ჩვევებისა და მეთოდიკის ათვისება; გვიანდელი შუასაუკუნეების და რენესანსის ეპოქების ძირითადი თეოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური პრობლემატიკის ინტერპრეტირება.
XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა და თემატიკა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: ლადო მინაშვილი საგნის სწავლების მიზანია, საგანგებოდ გამოიყოს და მეტი სისრულით და სიღრმით მიეწოდოს მაგისტრანტებს ცოდნა იმ ძირითადი პრობლემების შესახებ, რომლებიც XIX ს. ქართული მწერლობისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლისას იჩენს თავს.
თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი ECTS: 5 კრედიტი

სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: კახაბერ ლორია კურსის შესწავლისას სტუდენტს საშუალება ეძლევა გააცნობიეროს იმ ლიტერატურულ სკოლათა და სისტემათა საფუძველი, თეორიული არსი, თუ მხატვრული რეალიზაცია, რომელთა წარმომადგენლები XX საუკუნის ქართველი მწერლები არიან. განიხილება ქართული პროზისა და პოეზიის ისტორიის ეტაპები და ის პარალელური გზები, რომელიც მას აკავშირებს მსოფლიო ლიტერატურულ კულტურაში არსებულ მიმართულებებთან. გაანალიზდება ქართველ მწერალთა მსოფლმხედველობრივი და პოზიციური მიმართულებანი თანამედროვე პიროვნების სულიერი, თუ ზნეობრივ–ფსიქოლოგიური კვლევის თვალსაზრისით.
XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები (MA პროგრამიდან „ლიტერატურის თეორია“) ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები:
ხალხური ეპოსის ტიპოლოგია ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: თეიმურაზ ქურდოვანიძე სასწავლო კურსი მიზნად ისახავს, მიაწოდოს სტუდენტს თეორიული და პრობლემური ცოდნა მსოფლიო ეპიური შემოქმედების შესახებ. კურსი ითვალისწინებს ხალხური ეპოსის ნიმუშების გაცნობას; ხალხური ეპოსის ჟანრულ თავისებურებებში გარკვევას; სხვადასხვა ხალხთა და ჟანრის ეპიკურ ნაწარმოებთა ტიპოლოგიური და განსხვავებული ნიშნების შესახებ ცოდნის მიღებას.
ჰომეროსი და რუსთველი ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ძველი ქართული ლიტერატურა ლექტორები: ზაზა ხინთიბიძე სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტების მიერ ჰომეროლოგიური და რუსთველოლოგიური სამეცნიერო პრობლემატიკის სისტემური ანალიზის, ჰომეროსის ეპოსისა და *ვეფხისტყაოსნის* ნარატოლოგიური, კომპარატივისტული და სტრუქტურალისტური მეთოდებით კვლევისა და ჰომეროლოგიური და რუსთველოლოგიური სამეცნიერო პრობლემატიკის ურთიერთგანსხვავებული და

მსგავსი ასპექტების გამოვლენა–გაანალიზების გზით ჰომეროსისა და რუსთველის მხატვრულ მემკვიდრეობათა შესწავლა მათი ახლებურად, არატრადიციულად ინტერპრეტირების პროცესში.
ადამიანის პრობლემა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ძველი ქართული ლიტერატურა ლექტორები: გრივერ ფარულავა სასწავლო კურსი მოიცავს ქართულ ლიტერატურაში ადამიანის მხატვრული მოდელის, კონცეფციის გააზრებასა და შესწავლას, ქრისტიანული ანთროპოლოგიის არსის გაცნობას ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის მაგალითზე.
ქართული ლიტურგიკული მწერლობა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ძველი ქართული ლიტერატურა ლექტორები: ლელა ხაჩიძე კურსში გათვალისწინებულია ქრისტიანული ლიტურგიის უმთავრესი თავისებურებების განხილვა და მათი ასახვა სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგში. ამგვარი მიდგომა ქართული ლიტურგიკული მწერლობის სათანადოდ კვლევისა და წარმოდგენის საშუალებას იძლევა. ამის საფუძველზე კი შესაძლებელი ხდება ქართული ლიტურგიკული მწერლობის ნიმუშების ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტების გამოკვეთა და ანალიზი.
XVII-XVIII ს.ს. ლიტერატურული მიმდინარეობები და დ. გურამიშვილი ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ძველი ქართული ლიტერატურა ლექტორები: ნესტან სულავა კურსის ძირითადი მიზანია დ. გურამიშვილის პოეზიის ლიტერატურულ-კულტურული საფუძვლების შესწავლა. მაგისტრანტებს მიაწოდოს ის თემატიკა და პრობლემატიკა, რომელიც ინტერდისციპლინურ ანალიზსა და შესწავლას მოითხოვს დავით გურამიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მაგისტრანტს მიეწოდება მასალა ამ პერიოდის ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის უმთავრეს წარმომადგენელთა მემკვიდრეობის შესახებ.
ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია ECTS: 5 კრედიტი

სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ძველი ქართული ლიტერატურა ლექტორები: დარეჯან მენაბდე დისციპლინის სწავლების მიზანია, მაგისტრანტებს საფუძვლიანად გააცნოს ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, აჩვენოს, რა დამსახურება მიუძღვით მკვლევართა თაობებს ძველ ხელნაწერთა მოპოვებასა და აღწერაში, ტექსტების პუბლიკაციასა და შეფასებაში, ისტორიულ–ლიტერატურული საკითხების დამუშავებაში; წარმოაჩინოს ის წვლილი, რომელიც ქართველმა თუ უცხოელმა მეცნიერებმა შეიტანეს ძველი ქართული ლიტერატურის ეროვნული, ქართველოლოგიური და ზოგადმეცნიერული მნიშვნელობის დადგენასა და პოპულარიზაციაში.
ქართული კულტურა და ლიტერატურული სახისმეტყველება ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ძველი ქართული ლიტერატურა ლექტორები: რევაზ სირაძე სასწავლო კურსი თვალისწინებს: ლიტერატურულ ნაწარმოებთა თეორიულ ანალიზს; ლიტერატურის ისტორიის თეორიის შესწავლას ხელოვნების ბაზისურ კატეგორიაზე – "სახეზე" დაყრდნობით და ამ გზით ნაწარმოებთა ესთეტიკური ბუნების დადგენას. სახისმეტყველება კომპარატივისტული მეთოდების მოხმობით გულისხმობს: ხელოვნების სხვადასხვა დარგთა ნიმუშების ინტერდისციპლინურ და ინტერტექსტუალურ შესწავლას (იგულისხმება უპირატესად ქართული და აგრეთვე დასავლეთ-ევროპული და რუსულ ხელოვნებათა ცალკეული ნიმუშები); თანამედროვე დასავლეთ-ევროპული ლიტერატურულ-ესთეტიკური მეთოდებისა და ცნებათმეტყველების გამოყენებით ქართული ლიტერატურის ჯეროვან შესწავლას.
ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ახალი ქართული ლიტერატურა ლექტორები: იუზა ევგენიძე სალექციო კურსის "რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები ახალ (XIX საუკუნის) ქართულ ლიტერატურაში" შესწავლამ ფილოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრანტებს ბაკალავრიატის სტუდენტთაგან განსხვავებით, უნდა შეუქმნას უფრო გამოკვეთილი აკადემიური წარმოდგენა რომანტიზმისა და რეალიზმის არსზე, მათ ნაირსახეობებსა და გამოვლენის ფორმებზე ქართულ ლიტერატურაში, ახსნას "ქართული რომანტიზმის" და "რეალიზმის" როგორც ლიტერატურული მოვლენის ეროვნული

სპეციფიკა, მათი სოციალური და კულტურულ-ლიტერატურული გენეზისი. სალექციო სპეცკურსში უნდა წარმოჩნდეს ამ მიმართულებათა ადგილი რომანტიზმისა და რეალიზმის ნაირსახეობათა (გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული, იტალიური, ამერიკული) შორის.
აკაკისმცოდნეობა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ახალი ქართული ლიტერატურა ლექტორები: იუზა ევგენიძე კურსი მაგისტრანტს აძლევს აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიან ცოდნას ლირიკის, პროზის, დრამატურგიისა და კრიტიკულ–ლიტერატურული წერილების ანალიზის საფუძველზე. კურსი ასევე გულისხმობს აკაკი წერეთლის შემოქმედების გააზრებას თანამედროვეობის გლობალურ პრობლემათა კონტექსტში.
რელიგიურ-თეოლოგიური ნაკადი XIX ს. ქართულ მწერლობაში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ახალი ქართული ლიტერატურა ლექტორები: თამარ შარაბიძე კურსის შესწავლამ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტს უნდა შეუქმნას წარმოდგენა როგორც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარების ზოგად კანონზომიერებებზე, ასევე ამ აზროვნებისაგან ქრისტიანული მსოფლმხედველობის განუყოფლობაზე. სასწავლო კურსმა უნდა დაანახოს სტუდენტს ქართული ლიტერატურული აზროვნების საფუძველი – ქრისტიანული მსოფლმხედველობა – და მისი გავლენა ამ აზროვნების ერთ-ერთ ეტაპზე, კერძოდ, XIX საუკუნის მწერლობაზე.
ილიასმცოდნეობა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ახალი ქართული ლიტერატურა ლექტორები: ლადო მინაშვილი დისციპლინის შესწავლის მიზანია, ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობის მაგისტრანტს ღრმა და საფუძვლიანი წარმოდგენა შეუქმნას ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - ილია ჭავჭავაძის შესახებ. კურსის მეშვეობით მაგისტრანტები ფართოდ ეცნობიან ილია ჭავჭავაძის ცხოვრების გზას, მის საზოგადოებრივ

მოღვაწეობას. მაგისტრანტები საფუძვლიან წარმოდგენას შეიქმნიან ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ-ესთეტიკურ შეხედულებებზე. ღრმად შეისწავლიან ილიას ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს.
ვაჟასმცოდნეობა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ახალი ქართული ლიტერატურა ლექტორები: იუზა ევგენიძე სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტს მიაწოდოს ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის სიღრმისეული ცოდნა. კურსის თემატიკა ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველას გააზრებას თანამედროვეობის გლობალურ პრობლემათა კონტექსტში მისი მხატვრული შემოქმედების, კრიტიკულ-ლიტერატურული ნააზრევის, ლირიკის, ეპოსის, პროზის და დრამატურგიის ანალიზის საფუძველზე.
XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პროზის პრობლემები ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ახალი ქართული ლიტერატურა ლექტორები: იუზა ევგენიძე სასწავლო კურსის მიზანია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებს სათანადოდ შეასწავლოს XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პროზის თავისებურებანი; ამ პერიოდის შემოქმედებით-მხატვრული და სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების მრავალსახეობა, რაც მკაფიოდ გამოვლინდა ამ დროის მწერალთა ნააზრევში; კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლების, ხალხოსანი მწერლების, ნატურალისტური და სოციალ-დემოკრატიული განწყობის მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი ასპექტები.
XX საუკუნის ქართული პოეზია და ევროპული ლიტერატურული სკოლები ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - უახლესი ქართული ლიტერატურა ლექტორები: თამარ პაიჭაძე კურსის შესწავლისას მაგისტრანტს საშუალება ეძლევა, გააცნობიეროს იმ ლიტერატურულ სკოლათა და სისტემათა საფუძველი, თეორიული არსი, თუ მხატვრული რეალიზაცია, რომელთა წარმომადგენლები XX საუკუნის ქართველი პოეტები არიან. განიხილება ქართული პოეზიის ისტორიის ეტაპები და ის პარალელური გზები, რომელიც მას აკავშირებს მსოფლიო პოეტურ კულტურაში არსებულ მიმართულებებთან. გაანალიზდება ქართველ პოეტთა

მსოფლმხედველობრივი და პოზიციური მიმართულებანი თანამედროვე პიროვნების სულიერი, თუ ზნეობრივ–ფსიქოლოგიური კვლევის თვალსაზრისით.
მოდერნიზმი ქართულ ლიტერატურაში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - უახლესი ქართული ლიტერატურა ლექტორები: თამარ პაიჭაძე სასწავლო კურსი მაგისტრანტს საშუალებას მისცემს გააცნობიეროს და გააანალიზოს მოდერნისტული სკოლების ისტორია, დონე და როლი ქართულ ლიტერატურაში. სასწავლო კურსის მიზანია ლიტერატურულ მიმდინარეობათა არსისა და მათი განვითარების პროცესების გაცნობა. მოდერნიზმი ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მისი შესწავლა განაპირობებს ლიტერატურათმცოდნის პროფესიული ცოდნის სრულყოფას, სწორი შეფასების უნარის ჩამოყალიბებას.
XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა – კულტურათა გზაჯვარედინი ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - უახლესი ქართული ლიტერატურა ლექტორები: რუსუდან ნიშნიანიძე სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტებს შევასწავლოთ XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა; არაერთი ავტორის შემოქმედებითი ბიოგრაფია უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში გაგრძელდა. მათი ლიტერატურული მემკვიდრეობა ახლებურ შეფასებას საჭიროებს; ასევე, განსხვავებულად უნდა იქნეს გაანალიზებული არაერთი ფაქტი და შესაბამისად, შემოქმედებითი ასპექტი. მიზანი ისიც გახლავთ, რომ მაგისტრანტებს შევასწავლოთ ჟანრული თუ თემატური სიახლეები, ასევე, მათთვის უცნობი არა მხოლოდ ლიტერატურული ტექსტები, არამედ უცხოეთში შექმნილი რეცენზიებიც მათ შესახებ.
ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - უახლესი ქართული ლიტერატურა ლექტორები: კახაბერ ლორია სასწავლო კურსის მიზანია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებს გააცნოს რომანისტიკის ჟანრობრივი თავისებურება, შეასწავლოს ცნობილ ქართველ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა რომანები, მიაქცევინოს ყურადღება მათ მიერ რეალობის ობიექტურ თუ სუბიექტურ აღქმაზე, გამოუმუშავოს ჩვევა მათი კრიტიკული და შემოქმედებითი ინტერპრეტაციისა.
თანამედროვე ქართული პროზა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - უახლესი ქართული

ლიტერატურა ლექტორები: კახაბერ ლორია სასწავლო კურსი ითვალისწინებს მაგისტრანტებისთვის ცოდნის მიწოდებას თანამედროვე ქართული პროზის შესახებ. კურსი მოიცავს ქართული პროზის განვითარების ძირითადი ტენდენციების გაცნობასა და შესწავლას, ქართული პროზის ჟანრობრივი და ესთეტიკური თავისებურებების წარმოჩენას.
ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები და თანამედროვე ქართული მწერლობა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - უახლესი ქართული ლიტერატურა ლექტორები: რუსუდან ბურჯანაძე კურსის ძირითადი მიზანია XX ს-ის ქართული ლიტერატურის ადგილის განსაზღვრა მიმდინარე ისტორიული, პოლიტიკური თუ ლიტერატურული პროცესების არეალში; იმ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა წარმოჩენა, რაც ზოგადად ქართული ცნობიერების და, აქედან გამომდინარე, ქართული ლიტერატურის ძირეული ნიშანი იყო; იმ პრიორიტეტულ ფასეულობათა ხაზგასმა, რის გარეშეც ქართული ლიტერატურა არ მოიაზრება.
ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ქართული ზეპირსიტყვიერება ლექტორები: თეიმურაზ ქურდოვანიძე, ელენე გოგიაშვილი სასწავლო კურსი სტუდენტს აწვდის სიღრმისეულ ცოდნას საქართველოში ფოლკლორის კვლევის დასაწყისისა და განვითარების გზების შესახებ. კურსის მიზანია, ქართული ფოლკლორის შეკრებისა და შესწავლის ისტორიის ეტაპების ურთიერთკავშირის ჩვენება ზოგადი ფოლკლორისტიკის სკოლებთან და ძირითად მიმდინარეობებთან მიმართებაში.
ზღაპრის მორფოლოგია (ზღაპარმცოდნეობა) ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ქართული ზეპირსიტყვიერება ლექტორები: თეიმურაზ ქურდოვანიძე სასწავლო კურსი ითვალისწინებს ხალხური ზღაპრის სტრუქტურისა და სტილის შესახებ სრული ცოდნის მიღებას, კვლევის ძირითადი თეორიებისა და მეთოდების

გაცნობას. კურსი ძირითადად მოიცავს შემდეგ საკითხებს: ხალხური ზღაპრის ტიპები, ხალხური ზღაპრის ჟანრული თავისებურებები, ზღაპრის კომპოზიციისა და სტილი, სხვადასხვა ხალხთა ზღაპრების ტიპოლოგიური და განსხვავებული ნიშნები.
ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობანი ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ქართული ზეპირსიტყვიერება ლექტორები: ქეთევან სიხარულიძე კურსის სწავლების მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ქართული და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ძირითადი ჟანრები, მსგავსი სიუჟეტები და მოტივები, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ამ ხალხთა მეზობლობამ და ისტორიულ-გეოგრაფიულმა გარემომ. ასევე ის მითოლოგიური სახეები, რომელთა იდენტურობა მეტყველებს შორეულ წარსულში კავკასიაში მოსახლე ტომთა ერთიანი მსოფლმხედველობისა და ინტენსიური კულტურული კავშირების არსებობაზე. ეს კურსი გააცნობს ახალგაზრდებს, თუ რა გავლენა მოახდინეს ერთმანეთის შემოქმედებაზე მეზობელმა ხალხებმა, როგორ აისახა ფოლკლორში მათი ისტორიული ურთიერთობანი. ამ საკითხების შესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლიტერატურულ-ფოლკლორული თვალსაზრისით, არამედ იმ ბაზისის გააზრებისთვისაც, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ერთიანი კავკასიის იდეა.
თანამედროვე თეორიები მითოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ქართული ზეპირსიტყვიერება ლექტორები: თეიმურაზ ქურდოვანიძე სასწავლო კურსი მაგისტრანტებს გამოუმუშავებს ტექსტის ანალიზის ჩვევებს ფოლკლორისტიკის თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით. მაგისტრანტი შეისწავლის ფოლკლორის თეორიის ძირითად საკითხებს (ტრადიცია, ჟანრების წარმოშობა, იმპროვიზაცია, სინკრეტიზმი, კონტამინაცია, ვარიანტულობა, დრო და სივრცე), ასევე გაეცნობა შედარებით ისტორიულ-ტიპოლოგიურ თეორიასა და სხვა თანამედროვე სამეცნიერო თეორიებს (სტრუქტურალისტურ, რიტუალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებს), ამ თეორიათა ავტორების შრომებს.
მითის პოეტიკა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ქართული ზეპირსიტყვიერება ლექტორები: ქეთევან სიხარულიძე, ელენე გოგიაშვილი

სასწავლო კურსის მიზანია, მითის ისტორიულ-გენეტიკური მიმოხილვა ფოლკლორული მასალის საფუძველზე და მაგისტრანტის ცოდნის გაღრმავება მითოლოგიური ტექსტების კომპარატივისტული ანალიზის მეშვეობით. სასწავლო კურსის არჩევა შეუძლიათ სხვა სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებსაც.

ამირანოლოგია
ECTS: 5 კრედიტი
სტატუსი: სავალდებულო სასწავლო კურსი მოდულისთვის - ქართული ზეპირსიტყვიერება
ლექტორები: ქეთევან სიხარულიძე

კურსის მეშვეობით ამირანის ეპოსის სიღრმისეული შესწავლის გარდა, სტუდენტი გაეცნობა საგმირო ეპოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ძირითად ასპექტებს, რაც დაეხმარება, გაიაზროს ქართული ეპოსის პერსონაჟის ორიგინალობა და მისი ადგილი ტრადიციულ გმირთა გალერეაში. კურსის შესწავლა და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს, იმუშაოს ისეთ კომპლექსურ პრობლემებზე, როგორიცაა ლიტერატურული ეპოსის წარმოშობის, ფოლკლორულ და ლიტერატურულ ეპიკურ ძეგლთა ურთიერთმიმართება და სხვა მსგავსი საკითხები.

ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურის ურთიერთმიმართება
ECTS: 5 კრედიტი
სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის
ლექტორები: გრივერ ფარულავა

კურსი ითვალისწინებს ქართულ ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში საერო- სამოქალაქო მოტივების შესწავლას;რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ნაწარმოებების ესთეტიკური ღირებულებების ძველი და ახალი აღთქმის სამყაროსთან მიმართებას.

ქართული ლიტერატურის ტიპოლოგია
ECTS: 5 კრედიტი
სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის
ლექტორები: რევაზ სირაძე

სასწავლო კურსის მიზანია ქართული ლიტერატურის თავისებურებათა გააზრება დასავლურ და აღმოსავლურ მწერლობათა მთავარი ნიშნების ფონზე; თანამედროვე კომპარატივისტულ თეორიებზე დაყრდნობით კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ინტერდისციპლინური და ინტერტექსტუალური მეთოდებით შესწავლა; ქართული რენესანსის თეორიათა კრიტიკული გააზრება.

ჰაგიოგრაფია და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა
ECTS: 5 კრედიტი
სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის
ლექტორები: ხვთისო ზარიძე

სასწავლო კურსის მიზანია ჰაგიოგრაფიის და ძველი ქართული საისტორიო მწერლობის სპეციფიკურ თავისებურებათა შესწავლა; ცოდნა იმისა, თუ რა არის ისტორიკოსის აღწერის მიზანი და რა ჰაგიოგრაფისა; მათი ასახვის პრინციპთა შესახებ ცოდნის მიღება; ძველი ქართული საისტორიო და ჰაგიოგრაფიული ტექსტების კითხვისა და მათი ერთიმეორისაგან გარჩევის უნარის შეძენა; მხატვრულ ტექსტში ისტორიული სინამდვილის ამოკითხვისა და ფილოლოგიური კომენტირების ჩვევების დაუფლება.

ქართული ჰიმნოგრაფია
ECTS: 5 კრედიტი
სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის
ლექტორები: ლაურა გრიგოლაშვილი

კურსის მიზანია, სტუდენტი აღჭურვოს სწორი მეთოდოლოგიით, ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების მთავარი ეტაპების გათვალისწინებით მას ჩამოუყალიბოს ადექვატური გაგება ამ პოეზიის ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიებისა.

ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია
ECTS: 5 კრედიტი
სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის
ლექტორები: ხვთისო ზარიძე
სალექციო კურსის მიზანია ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის, სტრუქტურისა და შინაარსის სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების სისტემური გააზრება.

ქართული კრიტიკის ისტორია (XIX ს)
ECTS: 5 კრედიტი
სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის
ლექტორები: ლადო მინაშვილი, თამარ შარაბიძე

სასწავლო კურსის მიზანია ლიტერატურულ–კრიტიკული აზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების წარმოჩენა მე–20 საუკუნის დამდეგამდე, მე–19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ლიტერატურულ–კრიტიკული აზროვნების განხილვა ევროპული და რუსული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელთა შეხედულებების კონტექსტში; ჩვენება იმისა, რომ ქართული კრიტიკული აზროვნება ნასაზრდოებია როგორც მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურით, ასევე

მსოფლიო აზროვნების მონაპოვრით.
ქრისტიანული და მითოსური მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: თამარ შარაბიძე კურსის შესწავლამ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტს უნდა გააცნოს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარების ის ახალი ეტაპი, რომელსაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედება წარმოადგენს. სასწავლო კურსმა უნდა დაანახოს სტუდენტს მწერლის ლიტერატურული აზროვნების საფუძველი _ ქრისტიანული მსოფლმხედველობა _ და მისი წარმოჩენა მითოსურ მასალაში, რაც ქმნის ვაჟა-ფშაველას ორიგინალობასა და მხატვრულ სტილს.
თანამედროვე ქართული დრამატურგია ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: რუსუდან ნიშნიანიძე სასწავლო კურსის ძირითადი მიზანია, სტუდენტებს გავაცნოთ ქართული დრამატურგია, თუ როგორ გაითავისეს და შემოქმედებითად განავითარეს თანამედროვე ქართველმა დრამატურგებმა ის მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები, რაც ქართულ მწერლობას გააჩნია.
გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: რუსუდან ნიშნიანიძე სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტები ღრმად გაეცნონ XX საუკუნის გენიალური პოეტისა და მოაზროვნის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. სასწავლო კურსის აქტუალობას ხდის ის ფაქტიც, რომ მიუხედავად არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევისა და წიგნებისა, გალაკტიონოლოგია, როგორც მეცნიერება ბოლო ათეული წლებიდან იკრებს ძალებს. სწავლის პროცესში მაგისტრანტები გაეცნობიან აგრეთვე იმ რეცენზიებს თუ შეფასებებს, რომლებიც გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. საინტერესოა

აგრეთვე და ანგარიშგასაწევი ის მოსაზრებები, რომლებიც ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში თუ კრიტიკულ წერილებში გამოიკვეთა.
ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ფოლკლორში ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: ქეთევან სიხარულიძე სალექციო კურსით მაგისტრანტი გაეცნობა ხალხური სიტყვიერების იმ ნიმუშებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიბლიურ სიუჟეტებთან, დაინახავს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას;- ფოლკლორულ ტექსტებში შესული ინოვაციების მეშვეობით გაეცნობა ხალხური აზროვნების თავისებურებებსა და ზნეობრივ ნორმებს. კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტი მიიღებს გარკვეულ ცოდნას ფოლკლორის რელიგიური ასპექტების შესახებ.
ფოლკლორი და ისტორიული სინამდვილე ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: თეიმურაზ ქურდოვანიძე სასწავლო კურსი მიზნად ისახავს, გააცნოს სტუდენტს ფოლკლორულ ჟანრებში ისტორიული სინამდვილის ასახვის თავისებურებები, ისტორიული ფაქტების გადმოცემის სპეციფიკა სხვადასხვა ფოლკლორულ ნარატივში (საგმირო-საისტორიო თქმულებები, საგმირო ეპოსი, ლექსი, გადმოცემები ნაციონალური ისტორიული გმირების შესახებ). კურსი გამოუმუშავებს სტუდენტს ფოლკლორული ნიმუშების პროფესიული წაკითხვის ჩვევებს, საისტორიო წყაროებისა და ფოლკლორული გადმოცემების შედარებისა და კრიტიკული ანალიზის უნარს.
ხალხური დრამა ECTS: 5 კრედიტი სტატუსი: არჩევითი სასწავლო კურსი ყველა მოდულისთვის ლექტორები: თეიმურაზ ქურდოვანიძე სასწავლო კურსი მიზნად ისახავს, მაგისტრანტებს მიაწოდოს სიღრმისეული ცოდნა ხალხური დრამის წარმოშობა-განვითარების საფეხურების შესახებ, გააცნოს დრამაში გამოხატული სიმბოლოები ზეპირსიტყვიერი ტექსტებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, გამოუმუშაოს მაგისტრანტებს ტექსტების კლასიფიკაციისა და მათი ანალიზის ჩვევები.